19— კვირა ფასი 10 კაპეიკი 17 იანვარი —10 წ.

შინაარის: საზოგადოებათა გაერთიანება, მეთაური; მომავალი მსახიობი, პ. დადვაძისა; სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება, ლევ. მეტრეველისა; წყურვილი—პიესა, გაგრძელება, ს. გლახაშვილისა; ქართული თეატრი, კონსტან-ანდრონისა; ჩვენი მსახიობნი, მოთხ. ს. გლახაშვილისა; დრამის მოკლე ისტორია, ნარვილისა; სცენა სცენისათვის, ვ. ურუშაძისა; სომეხთა დრამატურგნი; ჩვენი დრამატურგნი; ჩვენი მსახიობნი; სახალხო თეატრის მოღვაწენი; ლექსნი: რ. ბებიაშვილისა; გ. ტაბიძისა; კ. ფშაველასი და სხ; სურათები.

მხცოვანი დრამატურგი **გ. ნ. სუნდუკიანი**

17 იანვარი 1910 წ.

საზოგადოებათა გაერთიანება. ჩვენი ქვეყანა წარსულში განკერძოებამა და თემურ-წეობურმა მამულმოყვარეობამ დღუბა, ყველა ხეობის, ყველა კუთხის ერისთავ-ბატონი თავისთვის იყო გამეფებული და ხშირად, გარეშე მტერთაგან რომ მოიცლიდა, თავისავე სისხლ-ხორცს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა. ჩვენი ისტორიის კაბადონები სისხლის ასოებით არის დაწერილი: ამერეთ-იმერეთის, გურია-სამეგრე-

დამსახურებული მსახიობი

კონსტანტინე სვიმონის ძე მესხი

30 სასცენო მოღვაწეობის გამო.

ლოს, აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთმანეთთან დაახლოვებაზე ფიქრიც-კი ხომ ოცნება იყო... და ვიმეორებთ, ამან დაასუსტა, დასცა, მიწასთან გაასწორა ეგოდენად ბუნებით მდიდარი ჩვენი ქვეყანა...

ალბად სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამდენად ნიჭიერ და ბუნებით მდიდარ ხალხში მსოფლიო გენიოსნი იშვიათად გამოჩენილან... შოთას შემდეგ ხომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო გენიოსი არა ჰყავს, და შოთაც ჩვენის ქვეყნის კულტურულად დაწინაურების შვილია, იმ ხანისა, როდესაც თამარმა თვისი სხივოსნობა ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეს მოაფინა...

ოცმა საუკუნემ ჭკუა ვერ გვასწავლა, გაკვეთილი ვერ მოგვცა...

მიმოიხედეთ, ჩვენში თუ რაიმე საზოგადო დაწესებულებანი გვაქვს დაარსებული, ყველა ცალკ-ცალკეა კარ-ჩაკეტილი, და არამც თუ ურთი-ერთს ხელი გაუწოდონ, თავიანთი განმანათლებელი, ცოდნის გამავრცელებელი ძალნი ურთი-ერთს შეაწიონ, ე. ი. კულტურული მუშაობა გააერთიანონ, არამედ ხშირად თითქოს ერთმანეთს ხელსაც უშლიან...

ამისი მაგალითები ხშირია და, ალბად, კულტურულ მუშაობის გაერთიანებაზე პრესა წინადაც ამოიღებდა ხმას,—ჩვენ ამას მხოლოდ კიდევ ერთხელ გაკვრით მოვაგონებთ ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ და გადავალთ წერილის პირდაპირ საგანზე...

წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ თეატრის მნიშვნელობა ჩვენი ხალხის კულტურულ დაწინაურებისათვის — მივუთითეთ აგრეთვე ზოგიერთ საჭიროებაზე... მაგრამ, თითქო ჩვენის თეატრის მეთაურთ—დრამატიულ საზოგადოებათა მესვეურთ—არა ჰქონდეთ გათვალისწინებული, რა მიზანს ემსახურებიან. იმის მაგიერ, რომ ურთი-ერთს ხელი შეუწყონ, მაგ., ქუთაისისა და თბილისის დრამ. საზოგადოებანი ერთმანეთს ხელს უმართავდნენ, თითქოს ხელსაც უშლიან, რასაკვირველია, აშკარად-კი არა, არამედ გვერდ-შეხვევით, ფარულად...

ამის დამამტკიცებელი საბუთები ხელთა გვაქვს, და იმდენად ჭუჭყიანია, რომ მათი გამოაშკარავება მეტად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ხმა დადის, ვითომც, ასეთი ქვებუდნობა რაოდენიმე კერძო პირთა საქმე იყოს...

ჩვენის დრამ. საზოგადოებათა მესვეურთ კარგად უნდა იცოდენ, რომ სხვა ქვეყნებში თუ ამგვარი საზოგადოებანი და მსახიობნი კერძო ინტერესთა მიმდევრებადაც არიან ცნობილნი, ჩვენში დრამატ. საზოგადოებაც და მსახიობიც მხოლოდ საზოგადო მოღვაწენი არიან,—ერთიც და მეორეც საზოგადო საქმეს ემსახურებიან, და ამიტომაც, რაც რომელიმე კერძო ანტრეპრენიორს მიეტევება, ის ვერ მიეტევება ჩვენი ქვეყნის დრამ. საზოგადოებათ.

სამწუხაროდ, ვიმეორებ, თითქოსაფთ შეგნებას მოკლებულნი იყვნენ ჩვენი დრამ. საზოგადოებანი, ყველა თავისთვის კერძოდ თოხარიკობს...

ამ გზით სიარული ხელს არ მისცემს ჩვენს სცენას, მით უმეტეს, რომ რიგიანი მსახიობი სულ რამდენიმე გვყავს და მათი დანაწილება, დაყოფა არც ქუთათურებს არგებს და არც თბილისელებს... ჯარგს მსახიობს თუ შესაფერი პარტნიორი, მხარის დამჭერი არა ჰყავს, ვერც მისი თამაში ახდენს შესაფერ შთაბეჭდილებას...

საჭიროა, ჩვენის ქვეყნის დრამატიულ საზოგადოებათ ანგარიში გაუწიონ ამ საგანს, დანიშნონ საერთო სიეზდი, ძალნი შეაერთონ, თავიანთ მოქმედებას ერთი მიმართულება მისცენ... ეჭვს გარეშეა, რომ ერთი ქართული დრამატიული დასი, ამერ-იმერელთაგან გამორჩევით შედგენილი, უფრო რიგიანად გამართავს წარმოდგენებს და მაშინ ეგი კარ-ჩაკეტილი-კი არ უნდა იყოს, არამედ იმოგზაუროს, — თბილისსა, ქუთაისს, ბათუმსა, ბაქოსა, განჯასა, კავკავსა და სხვა დაბა-ქალაქებში...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე მხარე მოგებული დარჩება: დრამ. საზოგადოებანი მსახიობებით და მაყურებელი---ხალხიც...

—✲—

ძიგვარეს

მშვენებით სავსე, შუქ-მოფენარე,
ცისა სიმარტეში მისტურაეს მთვარე,
ნათელს ჭვენს ვარეს, ტანჯულს, მწუხარეს,
ძაძით შემოსილს და მგლოვიარეს.

—

აფრქვიე, მთვარეო, შუქი ნათელი
და გაანათლე ღამე შავბნელი,—
თუ შუქი ავსულთ შეუშლის ხელსა,
მოეფინება შვება სოფელსა.

ნ. დიდებულიძე

მომავალი მსახიობი

(ფიქრნი და შთაბეჭდილებანი)

„აი, აქ— გულშია ჩვენი რეჟისორი!...“

დე-გრასო

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენს თეატრს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. საკვირველი აქ არაფერია: ყოველი ჩვენგანი მხნედ იცავს თავს სხვა და სხვა სნეულებათაგან და, თუ აღმოჩნდა ავადმყოფობა, მყისვე აქიმობას შეუდგება ხოლმე. თეატრი,—განსაკუთრებით ჩვენი თეატრი ჩვენთვის მეტად ძვირფასი, მეტად სათუთი ორგანიზმია, რომ მის დაქვეითებასა და ბედშავობას ყურადღება არ მივაქციოთ. იგი თითქოს გაყინულია ერთ ადგილას,—ვეღარც წინ წასულა; უკან დახევაზე ხომ ლაპარაკიც შეუძლებელია. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება, გემოვნება და შეხედულება ხელოვნებაზე არსებითად განსხვავდება წარსულისაგან, ასე რომ უკან დაბრუნება სრული უარყოფა იქნებოდა ჩვენი ზრდა-განვითარებისა. ამ შემთხვევაში თეატრი საზოგადოებისა და მის მოთხოვნილებათა გარეშე იქნებოდა; იგი უღალატებდა თავის დანიშნულებას: იგი აღარ იქნებოდა ცხოვრების სარკე, ცხოვრების სკოლა, მაყურებელთა გრძნობების ფაქიზად აღმზრდელი და გამაძლიერებელი. ასეთი თეატრის ბოლო – ულმობელი სიკვდილი არის, მძიმე წარმოსათქმელია, მაგრამ ასეთივე ბედი უწერია ჩვენს თეატრს ერთ ადგილზე დგომისაგან.

რუსეთში დიდ ყურადღებას აქცევენ თეატრის ცხოვრებას. აქ, რუსეთში თეატრის გარეშემო ცხოვრება დუღს, ეძიებენ და იკვლევენ ახალ გზებს ხელოვნებისას, ახალი მიმდინარეობა ჰბადებს ახალს მსახიობთ, ზრდის მათ, ანვითარებს; აქ ძველი რეალიზმი ადგილს უთმობს მისტიკურს სიმბოლიზმს, რომ შემდეგ ნეო-რეალიზმში ჰპოვოს მყუდრო ნავთსადგური; აქვე ცდილობენ ამაოდ ჩვეულებრივ სცენას სათუო თეატრი დაუპირდაპირონ, რომ მსახიობს ფართოდ გაუხსნან გზა შემოქმედებითი მუშაობისათვის. ასეთი გახურებული მოძრაობაა რუსეთის ხელოვნებაში (თეატრში), და ამ მოძრაობაში ჰპოვებს იგი მაცოცხლებელ ძალას. ასეთია ის გზა, რომელსაც რუსეთის თეატრი ადგია: გზა ზრდისა. ჩვენი თეატრისათვის ყველა გზა ერთხელ გამეფებულ შაბლონისაკენ მიდის. მისტიკურს სიმბოლიზმს ვინღა დაეძებს, როდესაც რეალიზმიც ჩვენთან პირველ საფეხურზეა მხოლოდ ასული?! როგორ ვილაპარაკოთ სათუო სცენის შესახებ, როდესაც ჯერ არ დავმტკბარვართ გემოვნებით მოწყობილს, დროის შესაფერის დეკორაციებით და ავეჯით, როდესაც ჩვენი სცენა ყოველთვის ცარიელია, მოღუშული, ნესტიანი?! მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხომ შეუწყნარებელია? მას უნდა რაიმე ეშველოს და ამ აზრით გატაცებულნი უნდა ვმუშაობდეთ მისი გაუმჯობესებისათვის.

რა ნეტარებაა, როდესაც ჩვენ დაბნელებულს თეატრში უეცრად შემოაშუქებს ხელოვნების ლამპარი! იგი სხივს სტყორცნის უძრავ ტილოს და აახმაურებს, გამოაფხიზლებს მსახიობს და შეარხევს დაუდეგარ მაყურებელს. ასეთი წუთი ძვირია და ძვირფასი ჩვენთვის: ის უნდა გვამხნევებდეს და ფრთას ასხავდეს ჩვენს იმედებს.

ჩვენი თეატრის გამოცოცხლებას მარტოოდენ ახალი, მომავალი მსახიობი შესძლებს, და ამიტომ ჩვენი იმედიც აქედ უნდა იყოს მომართული,— მომავალი მსახიობისკენ. ძველმა მსახიობებმა განვლეს თავისი გზა, — ქეშმარიტად ნარ-ეკლიანი გზა, –საფუძველი ჩაუყარეს თეატრს, ხალხი მიაჩვიეს ამ დაწესებულებას; ეგინი აღიზარდენ ძველ რეპერტუარზე, ძველ სცენაზე; მათ აღარ ძალუძთ კვლევა-ძიება ახალი გზებისა ხელოვნებაში, და ამიტომაც მათი შიში და გაუბედავობა ბუნებრივია. ჩვენ სცენას ახალი, ენერგიით სავსე, სცენის სიყვარულით გატაცებული მსახიობები ესაჭიროება უპირველესად ყოვლისა. და თუ ამ წერილით ჩვენ ოდნავ მაინც გამოვარკვევთ მომავალი მსახიობის სახეს, — მიზანი სავსებით მიღწეული იქნება.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი თეატრის ისტორიას, იგი უსათუოდ შენიშნავ-

და, რა რიგ ერთფეროვანი იყო პირველ ხანად ჩვენი თეატრის რეპერტუარი. იმ დროს თეატრი ის-ის იყო ფესვს იდგავდა ჩვენში, მას უფრო გასართობი ხასიათი ჰქონდა, ვინემ იმ ღრმა აღმზრდელობითი, კულტურული მიზანია, რომელსაც იგი ამ ჟამად უნდა ემსახურებოდეს. მას უნდა შეეჩვია ხალხი, შეეყვარებინა თავისი თავი, აუცილებელ საჭიროებად გადაექცია თავისი თავი, მოეპოვებია ღრმა, კულტურული ავტორიტეტი. თუ ასეთი მიზანი დავუსახეთ მაშინდელ თეატრს, მაშინ ადვილი ასახსნელია, რომ პირველი კომედიები და ვოდევილები მეტად ვიწრო საგანს შეეხებოდა. აქა ჰპოვებდა მაყურებელი თავისი დღიური ჭირ-ვარამის პასუხს; იცინებდა მრავლად ცხოვრებიდან ამოგლეჯილი სურათის დანახვაზე და თითქმის სავსებით დაკმაყოფილებული ბრუნდებოდა შინ. ასეთი პიესები ფოტოგრაფიას წარმოადგენენ, ცხოვრების სურათი უნაკლულოთაა გადმოცემული; მაგრამ დაჩრდილულია, ხშირად სრულიად მივიწყებულია ადამიანი, მისი სულიერი „მე“. იგი თვითონ როდი არის ცოცხალი ძალა, არამედ ამა თუ იმ მდგომარეობის ან მომენტის დასასურათებლათაა გამოყვანილი,—ადამიანს აქ მეორე ადგილი უჭირავს. ასეთია მოკლედ ჩვენი კომედიები და ვოდევილები თეატრის დაარსებისას. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი თეატრის გაძლიერებაში. დიახ, სწორედ ასეთმა პიესებმა შეაჩვია ხალხი თეატრს და თითქმის ყველას კულტურულ მოთხოვნილებად გადააქცია იგი, — თითქმის-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ამჟამადაც არიან ისეთი პირნი, რომელნიც არ დაიარებიან ჩვენს თეატრში მარტოოდენ იმისა გამო, რომ დარბაზში შუამბერავი ქარი (сквозной вѣтеръ) დასეირნობს, და მასაც ეშინია გაცივებისა. მაგრამ ეს—სხვათა შორის.

მეორე მხრით ჯერ ისევ ცოცხალი იყო წარსული დროის მოგონებანი, ყველას თვალწინ ჰქონდა გადაშლილი მეტად რთული ისტორიული მომენტი (განმარტება მეტად მიმაჩნია!), ყველასათვის მეტად ძვირფასი იყო ხატება ძველის მამულისშვილებისა. არავინ იცოდა, რას მოუტანდა მომავალი, და ამიტომაც წარსულში ეძებდენ მაგალითებს. ამ გრძნობას მეტად ფრთხილი, ნაზი ხელი ესაჭიროებოდა გასაძლიერებლად, მას პატრონობა ესაჭიროებოდა ასეთს მოთხოვნილებას ასრულებდენ პირველი დროის ისტორიული პიესები-პოემები. უნდა დაეხატათ რომელიმე მომენტი ჩვენი ისტორიული ცხოვრებისა, საჭირო იყო გაეძლიერებიათ სიმპატია ასეთი მომენტისადმი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ადამიანის სულიერი „მე“ დავიწყებული იყო. ძვირფასი იყო არა მისი სულისკვეთება, არა მისი ტანჯვა-წამება, არა მისი სულიერი ბრძოლა, არამედ ის, თუ რა პოზიციას დაიკავებდა იგი მდგომარეობის მიხედვით. ასეთი პიესები გრძნობას უფრო მეტს სარჩო-საბადებელს აწვდიდენ, ვინემ გონებას, რადგანაც მათი დადგმა სცენაზე ყოველთვის ეფექტებთან იყო შეკავშირებული. მეტად მოსაწყენი უნდა ყოფილიყო ასეთი პიესა, თუ იგი ქართველის გამარჯვებით არ გათავდებოდა: ოსმალო ან ლეკი უთუოდ პრიალა ხანჯლით უნდა გაეგმირა ქართველს.

ყოველივე ამით ჩვენ ასეთ პიესებს როდი ვართმევთ მათ მნიშვნელობას. პირ-იქით, ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ მათ დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენი ხალხის სულიერ ზრდას, ვინაიდან ის ხალხი, რომელსაც არ ახსოვს წარსული, ვერც მომავალში ეძიებს რასმე. სხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ძნელი ასაწერია ის აღტაცება, რომელსაც იწვევდა ჩემში, — რვა წლის ბიჭში, — „მტარვალი“-ს, მაგ., უკანასკნელი სცენა, როდესაც ქართველი გამარჯვებას დღესასწაულობს. ამითვე აიხსნება ისიც, რომ ტრადიციულ „სამშობლო“-ს წარმოდგენის დროს ხალხით სავსეა ხოლმე თეატრი.

პ. დადვაძე

ᲕᲝᲔᲖᲘᲐ

ახ, ნუ შეახებთ ხელს ჩანგის სიმებს,
ქნარი მწუხარედ აწკრიალდება;
ციურ კაეშნით ზედ დასტიმტიმებს
მას უკვდავების ნაზი დვიანება;
არ ვიცი, რისთვის, განთიადისას,
მე მან გაღმომცა წკრიალა ქნარი,
და ეოვედ წინსვლას მგზასნის ჭანგისას
თავს დაჭფარფატებს, როგორც სიზმარი.

—

ნუ, ნუ გასთელავთ ფეხ ქვეშ შვენებას,
ნუ შეურაცხ-ყოფთ დიდების ტაძარს:
ბედით რჩეულთა წრფელ მისწრაფებას,
მათ იმედის სხივს და თავ-შესაფარს.
ნუ შეუბნებით, რომ განთიადზე
უდროოდ წამებულს ადმოხდა სული,—
არა, ის სტოტხლობს, ჩვენს მიმართულ ცხადზე
უფრო წარმტაცი და დიდებული!

გ. ტაბიძე

დრამატურგი **ტრ. რამიშვილი**

სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საერთო დაფასება

(გაგრძელება)

თუ სურათით გამოვხატავთ მეცნიერულ და მხატვრულ ნაწარმოებთა მოგზაურობას ადამიანში, ასე იქნება:

მეცნიერული ნაწარმოები ჯერ გონებაში შედის, მერე კი სწვდება გულს, მხატვრული-კი ჯერ გულში ჩასწვდება, მერე კი მიდის გონებაში. ისე რომ გონება არის მეცნიერების ტრანსფორმატორი, გრძნობა კი ხელოვნებისა. და რადგანაც ჩვენს მიზანს შეადგენს უკანასკნელის გამორკვევა, ამიტომ პირველ თავისუფალია ჩვენი ანალიზისაგან.

როგორცა ვსთქვი, გრძნობები, ანუ მათი სამეფო, გული, არის ხელოვნური ნაწარმოებთა ტრანსფორმატორი.

მაშ ის ყველაფერს კი არ აწვდის გონებას, რასაც მსურველი ნაწარმოებიდან იღებს, და არც ყველა იმ თვისებითა და იმ სახით, როგორც მას მიუღია, არამედ ბევრად უფრო მცირედ და ნაკლების სილამაზით.

ამასთანავე ხელოვნების ტრანსფორმატორში გატარებული შთაბეჭდილება, რომელიც იგზავნება გონებისკენ, სულ ხომ გონების ლოღიკით განათლებულ ნაწილში არ მიდის გონების ინსტიქტიურ სამფლობელოში, მაგრამ ამაზე ცოტა შემდეგ.

იქნება ბევრს ანატომსა და ფიზიოლოგს ააშფოთებს ჩემგან კაცის გონების ასე უცერემონიოთ დანაწილება, მაგრამ მე ხომ არ ვეხები ტვინს, კაცის ფიზიკურ მხარეს, არამედ მის სულიერ თვისებებს. ჩემი განაწილებაა ეს ფსიხოლოგიური განაწილება და არა ფიზიოლოგიურ-ანატომიური და ამიტომ სრული უფლება მაქვს მოვიქცე ისე, როგორც უფრო უმჯობესი იქნება ჩემი აზრის ნათლად გამოსახატავად.

თუმცა მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ყველა გრძნობების ცენტრი, სიამოვნებისაც და საზიზღრობისაც, სიხარულისაც და მწუხარებისაც, სიყვარულისაც და სიძულვილისიც არის ტვინი, ეს ინტელექტის ბუდე; მაგრამ ეს ახსნა არის უფრო გრძნობების ფორმისა, მისი სხეულის ახსნა და არა მისი სულისა.

რაც შეეხება ამ „სულის“ კვლევა-ძიებას, ამაზე დიდი ხანია მეცადინეობს ფილოსოფია, მაგრამ აქამდის მაინც ერთი გარკვეული გზა არ არის ნაჩვენები.

მაგრამ ამ კითხვის უფრო დაწვრილებითა და საფუძვლიანად გამორკვევა მიგვინდვია მომავალისთვის; ეხლა კი განცხრომით დაწყებული.

როცა გული ტრანსფორმაციას უშვრება მხატვრული ნაწარმოებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას, ყველაზე უფრო ღრმა, ყველაზე უფრო ლამაზი და მგრძნობიერი რჩება მასში და გონებისკენ გზავნის მხოლოდ მას, რაც მისთვის უფრო ადვილად მისაწდომია და რაც შეადგენს მის კუთვნილებას.

მაშ გონების შემწეობით ჩვენ შეგვიძლიან დავაფასოთ მხატვრული ნაწარმოები იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეჰხებია მას და იმ თვისებით, რომელსაც მიუღწევია გონებამდის.

მაგრამ გონების შემწეობით-კი სავსებით ვერ დავაფასებთ მხატვრულ ნაწარმოებს, რადგან იმისი ყველაზედ უფრო ღრმა, ლამაზი და მგრძნობიერი რჩება გულში.

მაშ თუ გვინდა მხატვრული ნაწარმოების სავსებით დაფასება, ჯერ უნდა მივმართოთ გულს, თუ რა სიამოვნება, რა სიტკბოება იგ-

რძნო მან. და რა სახით? შემდეგ დავეკითხოთ გონების ინსტიქტიურ ნაწილს, თუმანთ რაღა იგრძნო? ბოლოს კი მივმართოთ ლოღიკას, მაგრამ ის ჩვენდა დაუკითხავადაც თავისუფლად წამოიძახებს, რაც მიუღია და როგორის სახით.

ჩვენ უნდა გადავიქცეთ ხოლმე ჩვენ სულიერ მოვლენათა ცენტრების სასტიკ მოანალიზედ, მიუდგომელ, მეთვალყურედ, რადგან ჩვენ თავზე უკეთესად სხვა ვერავინ გაარჩევს მათ და ვერავინ დაინახავს მათ არსებით თვისებასა და ხასიათს.

ლევ. მეტრეველი

ქართული თეატრი

მაყვალას გასამართლება და „შეშლილიას“ წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ახლს ხელს ყოველთვის ეტანება ადამიანი. ამისთანა ახალ ხელად უნდა ჩითვალოს მაყვალას გასამართლება, რომელიც მოხდა 9 ივნვარს სათავადაზნაურო თეატრში. მაყურებელთა დარბაზში ტევა ადარ იყო.

მაგრამ დაკმაყოფილდა საზოგადოება ახალი ხილით, მწიფედ იგეში იგი ხილი თუ არა,—ეი სკეითხი!

ჩოელი საზოგადოების აზრს ამ გასამართლებაზე ვერ დაგხასიათებთ, ხოლო ჩვენი რეადქცია მოვალეა ანგარაში გაუწიოს და თავისი აზრი გამოთქვას.

უფალა დაგეთანხმება, რომ ჩვენთვის, ქართველთათვის შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ სამსჯავრების გამართვას.

მნიშვნელოვანია იგი, როგორც ლიტერატურული, ისევე სოციოლოგიური მხრით, ჩვენ სიამოვნებასა და კმაყოფილებას ვაცხადებთ და ვიმედოვნებთ, რომ ეს მნიშვნელობა შეკნებული აქვს მოწინავე ინტელიგენციას, და რაც შეიძლება, ხშირად გამართავს მაყვალას გასამართლებლ მსგავს სამსჯავრებს.

9 ივნვარს ნასიამოვნება გამოველით თეატრის დარბაზიდან. გასამართლებამ გვარიანად ჩაიარა. ისე გვარიანად, რომ არც კი მოველოდით გამოუცდელთაგან.

კარგი დამცველები იყვნენ ბ-ნი ივ. გომართელი და გ. გვაზავა, რომელთაც ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს და დაასაბუთეს მაყვალას სულიერი დრამა, თუმცა-კი ბრალდება ჯერთვანად ვერ დაარღვიეს.

ბრალმდებელმა ბ-მა ნ. ლორთქიფანიძემ მოკლედ დასაბუთა დანაშაული მაყვალასი და საკითხი ბრალდებისა კარგადაც დააყენა.

სამსჯავრომ გამართლა მაყვალა.

საინტერესო იყო აგრეთვე „**შეშლილია**“-ს წარმოდგენა, რომელშიაც ნიჭიერი მსახიობი ვლ. მესხიშვილი ჭარლეიგის როლს ასრულებდა.

„**შეშლილია**“ ფსიხოლოგიური ეტიუდია, და ვლ. მესხიშვილმა მშვენიერად გადმოგვცა ყოველი წვრილმანი თავისი როლისა და საზოგადოება ადტაცებაში მოიყვანა.

მესხიშვილისათანა შეკნებული თამაში იშვიათია ჩვენს სცენაზე და, რასკვირველია, ადტაცებაც გამოიწვია. ყოველი ნაბიჯი მესხიშვილისა, ხმის ამაღლება-დაწევა, მიხვრა-მოხვრა და მდიდარი მიმიკა ისეთნაირად იყო შეფერებული ჭარლეიგის სულიერ მდგომარეობასთან, რომ შეკვეიძლიან ვსთქვათ—თაშაში მისი ხელოვნური იყო.

სხვა როლების ადმასრულებელნიც კარგად იყვნენ და მუშაობა ეტყობოდათ.

ერთი სიტყვით, წარმოდგენა ხეირიანი იყო. როლების ტოდნა ყველას ეტყობოდა და ამით შთაბეჭდილება გაუმჯობესდა.

ჭიესა თითონ მესხიშვილის-მიერ იყო დადგმული; ესეც დაეტყო წარმოდგენას.

იმედია, ჩვენი მსახიობნი ხალისიანად განაგრძობენ მუშაობასა და ამით ტოტათი მაინც წინ წასწევენ უკან დარჩენილ საქმეს.

კონსტან-ანდრონი

...მსხვერპლად შევწირე

„შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!“..

ნ. ბარათაშვილი

მკვნესარე სიმებს ჩაგრეხ-ჩაგაწან
სულის კვეთების ხმა იდუმალი,
და შეგაქსოვე გრძნობის დუღილსა
ღვთიური ტეტნლის ტიური ალი...

—

მორთოლვარე სიმებს ჩამოკარ ხელი,
ცის ჭარმონიას შეეუხმატებილე;
და ქანჯნის ჯვარზე მაკრულს ჩემს სტრფოს
წმინდა ტრფიალი მსხვერპლად შევსწირე!..

კ. ფშაველა

ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ

დრამა 3 მოქ. 4 სურ.

მოქმედება პირველი

II სურათი

მოქმედნი:

უსინათლო	**მათია**
მამა ილია	**მოურავი** დიდი ბატონისა
პეტრია	**ბებია**
მიხა	**მართა**
გოგია	**ქაქალა**
ტატე	**და დამსწრენი:** ქალი და
სესე	კაცი.

სცენა: დაქანებული ველია. აღმოსავლეთით—უკან—მოყოლებული მაღალი ქვითკირის კედელი; ამ მხრიდან ოდნავღა მოსჩანს ეკლესიის ჯვრის თავი: ხოლო იმის უკან შორით მყინვარის მთის თავი, თეთრად დათოვლილი. მარცხნივ ჯაგებია, ხოლო მარჯვნივ სასაფლაო მორდილ დანგრეულ გალავნიანი ეკლესიით. კედელი მხარ-მარჯვნივ დანესტიანებულია, ეტყობა მოზრდილ წყაროს ნაკვალი, სასაფლაოს თავში მარცხნივ მიმავალი.

I

უსინათლო, ქაქალა, სესე, მათია

უსინ. (ისმის გაბზარულ ზარის ნელი ხმა. ბაგზის შემდეგ შაგნიდან) მესმის, მესმის სოფლის ზარის ხმა...

ქაქ. (შაგნიდანვე) სოფლის სასმენად, ჩემო პაპია.

უსინ. (მოხლოებულია) მესმის, შვილო, მესმის... (შემოდის ქაქალს ხელმძღვანელობით. მოსდგენენ: სესე და მათე) უსინათლო ვარ, ჩემთვის მზე აღარა ბრწყინავს; ხოლო მესმის; სმენით-კი, შვილო, მესმის...

სესე. მერე, რა გესმის, ჩვენო ბერია?

უსინ. რა მესმის?!.. სასაფლაოს გაბზარული ზარის ხმა! გაბზარულ ზარის ხმა...

მათე. (აქა-იქა შემოდიან უმწვადი ბიჯები) მე-კი სულ ეგრეთი მახსოვს...

სეს. რამ გაბზარა? უთოოდ გეცოდინება.

რამდენიმე ხმა გვიამბე, გვიამბე!..

დანარჩენნი აბა, აბა?!...

მათ. მე-კი სულ ეგრე მახსოვს, რაც თავი შემისწავლია.

უსინ. არა, შვილო, იგი წმინდა ნინოს დროის ჩამოსხმულია...

მათ. (გაწყვეტინებს) მაშ, რაღამ დააზიანა?!

სეს. როდის გაიბზარა?!..

რამდ. ხმა გვიამბე, გვიამბე!..

დანარ. აბა, აბა?!..

უსინ. ჯერ ისევ ვაჟიკაცი ეიყავ, რომ ეს ზარი სოფლისა, დღეს გაბზარული, ეკიდა ამა ტაძრის სამრეკლოზე დაუზიანებელი. მაგის წმინდა ხმა სოფლის ბოლოში თვით ყრუსაც-კი გულში სწვდებოდა. ცისკრის დროს ამის ანკარა წკრიალა ხმაი თვით მძინარესაც მსწრაფლ აღვიძებდა. ლიტანიობას ამა სოფლის ტაძარში გვიწოდებდა და ქრისტეაღდგეს სოფელი ერთმანეთს აქ ულოცავდა...

რამ. ხმა (მოუთმენლად) რაღამ გაბზარა?...

დანარ. რამ დაანგრია?...

უსინ. ცოდვამა, ცოდვამა!!..

საერთო ხმა როგორა, როგორა!..

უსინ. ჯერ ისევ ჩემის ბატონის აქ ყოფნაში ჩვენმა ქალბატონმა დღეანდელმა ჩვენმა დედინაცვალმა მარიამმა აქ ინახულა დიდი ბატონი. ულალატა ჩემ კეთილს ბატონსა და შეეთვისა ჩვენთვის უცხოსა მკაცრსა ბატონსა. ამა ტაძრისა მოძღვარი ჯვარს არა სწერდა, მათ შეუღლებას უზნეოდ სთვლიდა. ამისათვის ხელი შეახეს ჩვენს წმინდა მოძღვარსა და გაუყენეს იგიც ჩემის ბატონის შორეულ გზასა...

რამდ. ხმა მერე იქორწინეს!...

უსინ. „ძალა აღმართის მხვნელია“! ბატონებმა ძალა იხმარეს და ჯვარიც მორჩილით გადაიწერეს. სოფელი განზე იდგა, თითქო გაშტერებული, ხმას არ იღებდა... მაგრამ ზეცამ-კი არ შეიწყნარა; კამარა ცასა ღრუბელი გადაეფარა; ასტყდა ხშირი ქუხილი, მას მოჰყვა წვიმა კოკისპირული.. ვერც-კი მოასწრო ჩემმა შვილმა ამა ტაძრისა კარის დახურვა, რომ უცბად იელვა, იშექა, ვით რისხვა, და მეხი დაეცა...

მათ. (ისმის იგივე ზარის ხმა, ხოლო უფრო მძიმე) შენ შვილს დაეცა?!..

უსინ. არა, თვით ტაძარსა; ხოლო ჩემს შვილსა გული გაუსკდა, ამის მნახველსა... მას შემდეგ არის ეს ზარი გაბზარული და ეს ტაძარიც, ჩვენი სოფლის წმინდა სავანე, დანგრეული... ჩემი შვილიც ამა ლოდისა ქვეშ განსვენებული... მე უსინათლოს, მას შემდეგ მზისა უხილავს, მესმის მხოლოდ ამა ზარის ხმა...

მარტო მე მესმის მის საიდუმლო გლოვისა გაბზარული ხმა...

II

იგინავე, ილია, პეტრია, მიხა, გოგია, ბებია, მართა, ტატე, და სხვანი.

მათ. სად არის, სად ღვთის სამართალი?!.. (მადლა ხელების აბერობით)

ტატე. არა, არა! იგი რო იყვეს, განრისხდებოდა...

მათ. მეხს მათ დასცემდა!...

პეტ. მთლად. გაანადგურებდა...

უსინ. ვინ სცოდებს ღმერთსა?!.. არა, შვილო, იგი არსებობს...

ილ. იგი თვით ჩვენში, ადამიანიში არს.

მათ. (უკმაყოფილოდ და გაუბედავად ბუბუკეებს) არსებობს, არსებობს...

ტატე მერე, სად არის, სად?! ავერ, დიდი ბატონი ტყესაც-კი ეკლიან ლობეს ავლებს...

რამდ ხმა (გაკვირვებული) ლობესა ავლებს?!..

პეტ. (დადონებული) არც იქ შეგვიშვებს...

გოგ. მერე, რაღას უყურებთ?! ნუ თუ ბატონისაგან არ გჯერათ?...

პეტ. აღარ შეგვიშვებს, აღარ შეგვიშვებს...

გოგ. რაღას უყურებთ, დავაქციოთ, რომ იგიც ამ კედელივით არ გამაგრდეს...

რამდ. ხმა წავიდეთ, წავიდეთ...

ტატე თორემ შემდეგ ვინანებთ...

რამდ. ხმა (აბირებენ წასვლას) წავიდეთ, წავიდეთ..

უსინ. მოიცადეთ, შესდექით!..

ბებია ნუ აჩქარდებით...

გოგ. (შესდგება უკმაყოფილოდ) ნუ ავჩქარდებით?!..

ფამდ. ხმა (უკმაყოფილოდ ბრუნდებიან) ნუ ავჩქარდებით, ნუ ავჩქარდებით...

უსინ. ეს ხმა ზარისა, რისთვისაც გიწვევთ, ჯერ მოისმინეთ.

რამდ. ხმა (მათში, რომლებიც არ დაძრულან) მოისმინეთ, მოისმინეთ...

უსინ. (ზარის რეკვა მძიმეთ მოასმის და ნელნელა სწყდება) ხალხის ზარის ხმაც ისმინეთ...

რამდ. ხმა (მათ შორის, რომლებიც არ დაძრულან) უსმინეთ, უსმინეთ...

ბებია ხალხნო, ვინ არის აქ წეს-რიგის დამცველი?..

უსინ. მეთაური ავირჩიოთ, მეთაური

რამდ. ხმა ავირჩიოთ, ავირჩიოთ..

ტატე გოგია, გოგია!

რამდ. ხმა (მათ შორის, რომლებიც გოგიას მისდევდენ) გოგია, გოგია!...

უსინ. ჩვენი მოძღვარი მამა ილია, ამაში გამოცდილია!

რამდ. ხმა (შეორე მხარე) ილია, ილია!...

ტატე კარგით, იყოს მამა ილია.

ბებია მამა ილია, მამა ილია..

უსინ. იგი უფრო გამოცდილია.

საერ. ხმა (კარდა რამდენიმესი) ილია, ილია..

ილ. „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. (მისწყდება ზარის ხმა) გემორჩილებით. ვერ აღვუდგები სოფლის სურვილსა.

მარ. (ბებიას ხმამაღლივ) ქალების აზრიც ხომ საზიაროა?

გოგ. ქალებსაც ჰქონდეთ უფლება მონაწილეობისა.

ბებ. ბრწყინვალე თამარის დროიდანა გვაქვს, შვილო, ეს უფლება...

უსინ. ბრძენ შოთასგან ნათქმია: „ლეკი ლომისა სწორია, ძუ იყვეს, თუნდა ხვადია“..

ილ. არა მგონია, ჩვენში აქ ვინმე იყვეს წინააღმდეგი.

პეტ. განვაგრძოთ, განვაგრძოთ.

ილ. ვითხოვ წეს-რიგსა. რომელსა სურს ლაპარაკი?

გოგ. მე მსურს.

ილ. გისმენთ.

გოგ. მთელი სოფელი ციებ-ცხელებამ შეიპყრო. დიდსა თუ პატარას ადამიანს ფერი აღარ ადევს, უმრავლესობა ლოგინათა წევს. სოფელს მზე ენატრება, მას-კი, აი, ეს კედელი ეფარება, სოფელს წმინდა ანკარა წყალი სწყურიან, მის ნაკადულს-კი აღშობს, აი, ეს ქვითკირი; ხოლო ომმენი ჩვენი, მთელი სოფელი, იმ მდორე მდვრიე ჭაობიან წყალსა სმენ. მზე თავის გულუხვ სხივებით ბრწყინავს, ხოლო გაუმაძღარი ბატონი, ამა მთელ სოფლის მბრძანებელი, მას გვიხშობს; ამასაც არ გვაკმარებს, ტყესაც დაგვიხშობს. ჩვენ-კი მოხრილნი, ვით საქონელი უღელ ქვეშა, ვითმენთ სნეულთა კვნესას საბნისა ქვეშა. ვინ ააყუდა, აი, ეს კედელი? მთელმა სოფელმა ბატონის ბრძანებითა, ხოლო ჩვენდა დასაბნელებლათა, დასასნეულებლათა. მაშ თუ ვგრძნობთ: ჩვენ სიბნე-

ლესა, ჩვენს სნეულებასა, რაღას ვუყურებთ? დავაქციოთ ერთის ძალით და ღონით!

რამდ. ხმა (ზოგი წამოდგება) დავანგრიოთ! დავანგრიოთ!... დავაქციოთ!..

ბებ. (შეხედავს იდიას) ფრთხილად, შვილებო, ფრთხილად ...

უსინ. ჩემთვის მზე აღარ ბრწყინავს.. ხოლო მესმის ხალხისა ზარი.

ბებ. „ორჯელ გაზომე, ერთხელ გახიეო“. მაგის აშენება ადვილი იყო, ხოლო დაქცევაკი...

პეტ. (შეხედავს იდიას) ი, ბატონი აშენებაში ჯილდოს გვაძლევდა, დაქცევაში-კი, რა ვიცი...

გოგ. რაც მოგვივა მოგვივა, უნდა დავაქციოთ!

რამდ. ხმა დავანგრიოთ! დავაქციოთ!..

ილ. ხალხნო! დაწყნარდით. ახლა მე მომისმინეთ...

უსინ. უსმინეთ, უსმინეთ.

ილ. (წამომდგარი განაგრძობს, რა შეატეობს) გულ-ყურთა სმენა მეც დამაყოლეთ. ძველთაგან თქმულა: „აჩქარებითა სოფელი არვის მოუპამიაო“... ნუ ავჩქარდებით. ხშირად გონიერი მძლეველია ღონიერისა. იყო აქ მზე ბრწყინვალე ბუნებით მონიპებული, ხოლო ჩვენმა სოფელმა თვითვე ააშენა ეს კედელი, ამით დაიხშო მაცხოვარი თავისუფალ მზის სხივნი...

ბებ. (თავისთვის) გაბრიყვდენ, შენი ჭირიმე, გაბრიყვდენ...

ილ. აქ, ამ ნაკვალევზე გადმოსჩქეფდა ანკარა წყარო და ასაზრდოებდა ჩვენს ხალხსა, ხოლო სოფელმა მისი სათავე აქოლა ამა კედლითა, თვითვე შეაყენა მისი თავისუფალი მდინარეობა...

ბებ. (თავისთვის) „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“...

ილ. ჩვენ დაგვემართა დიახ! მაგრამ გვიანღაა ახლა თითზე კბენანი...

გოგ. (თავისთვის) შემდეგ უფრო გვიანი...

ილ. მართალია, ჩვენივე სოფლის აშენებულია ეს კედელი, ხოლო ეს იყო სურვილი ბატონისა...

პეტ. (თავისთვის) ბატონი-კი არ,—ასულთამხუთავია...

ბებ. (თავისთვის ხელებ აბურობით) ღმერთო! შენა ჰკითხე...

ილ. მაშინ თუ სოფელმა აღაშენა სურვილითა...



წყურვილი, მოქ. I, სურათი მეორე. ნახატი **ო. შმერლინგისა**

გოგ. (მოუთმენლად) სოფელს ვინა ჰკითხა?! ეს იყო მხოლოდ სურვილი რამდონიმესი...

ტატ. მართალია, რამდონიმესი..

რამდ. ხმა მართალია, მართალი...

ილ. შესაძლოა! მაგრამ კედელი მაინც აშენდა. მზე ბატონს მიეშუქა, ანკარა წყარომ მის მხარეს იწყო დენა. სოფელმა ბატონს ამითი ასიამოვნა, ხოლო ამ სიამოვნებამ იგი გაამეფა. ადამიანზედ უფროსობა აღარ იკმარა, დავიწყდა ბრძანება, მეფობა თვით ბუნებაზედაც მოინდომა. ბუნებით მონიჭებული, ყველასათვის უხვი, მზე და წყარო თვით დაისაკუთრა. ამას შეეჩვია და ბუნების მეფედ გარდაიქცა. შემდეგ ეს მდგომარეობა ბატონმა დაიკანონა, მიიჩნია სამართლიან კანონად...

გოგ. ამ დაკანონებაში ხალხს არ მიუღია მონაწილეობა...

ილ. სრული სიმართლეა. ხოლო სოფელი მაინც დღემდის უსრულებდა ამ კანონსა...

გოგ. (აწყეტანებს) ჩვენც უნდა იგი ძალით დავიბრუნოთ...

უსინ. ძალითა, შვილო, ძალითა!...

ყველ. ძალითა! ძალითა!...

ილ. ჭეშმარიტად. მეც ის მინდა გაგითვალისწინოთ, რაც ბუნებაში ხდება. ძალა ჰაერშიაც არის, უფრო ძლიერიცაა; და როდესაც მოპირდაპირე ჰაერის ძალაც ერთმანეთს შეეხეთქება, ცეცხლს აჩენს, ხოლო შემდეგ ძირს მეხად ეცემა დედამიწასა, რომელიც აქრობს და აგრილებს, ვითა მშობელი. თუ არ დედამიწა, ქვეყნიერობასა ცეცხლი გაუჩნდებოდა. ეს მაგალითი ჩვენვე უნდა გადავიღოთ. ბატონი ჩვენგანვეა წარმოშობილი, ხოლო მისი ძალა ჩვენგნითვე მინიჭებული; რაც ერთმანეთსკი არ უნდა შეეახეთქოთ, არამედ ჩვენვე უნდა გავანელოთ...

ბებ. „სისხლი სისხლით არ მოიბანება“..

პეტ. მართალია, მართალი...

რამდ. ხმა მართალია! მართალი!..

ტატე (უკმაყოფილოდ) მართალი, მართალი...

ილ. ბატონს, ჩვენგანვე გამეფებულს, აქვს ადამიანის ძალა მოპოვებული და თუ ეს ძალა სოფლისვე ძალას დავუპირდაპირეთ, ქვეყანას ცეცხლი გაუჩნდება.

გოგ. ნაცვლად თავისუფლება აღმოცენდება.

ილ. ეგ საიდუმლოა, როგორათაც მიზეზი ბუნების მოვლენისა. ხალხნო, ჩვენ ვერიდნეთ საქვეყნო ცეცხლსა. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“. ჩვენც მივმართოთ ხერხსა და შესაძლოა შევისრულოთ წყურვილი.

პეტრე ბრძანეთ.

რამდ. ხმა ბრძანეთ! ბრძანეთ!..

დანარ. (გარდა გოგიასი და ტატესი) აბა, აბა?!..

ილ. ნებით ავაშენეთ კედელი, ნებითვე დავანგრიოთ იგი და მოვიპოვოთ მზის სინათლე ჩვენდა სადღეგრძელოთა...

რამდ. ხმა როგორ, როგორა!...

გოგ. ეგ სწორედ იგივეა, რაც მგელს თხოვნა: „კრავს ნუ შესჭამო“.

ილ. რატომ, თუ-კი მგელი დარწმუნდება, დღეს თუ ხვლ იმისი ძვალი ყელზე დაადგება, დაახრჩობს,—შესაძლოა აღარ ინებოს კრავის ჭამა. ჩვენც მივმართოთ, ხალხნო, ბატონსა, გავუთვალისწინოთ ბატონს, რომ ჩვენსა და მის შორის კედელი ვეიზრბოს სინათლესა, გვარიდებს მზის სხივებსა და გვანატრებს მასაზრდოებელ ანკარა წყაროსა. გავუთვალისწინოთ ჩვენს ქალბატონს—მის მეუღლესა—მარიამს, რომ ამით შესაძლოა სოფელი ამხედრდეს და ვით მთიდან წამოსულმა ნაპერ-ყინულმა გზაგზა მიიკრას ფიფქი თოვლი, მოაზვაოს და ყოველი ძირს დახვედრილი გაანადგუროს.

პეტ. მივმართოთ!

ყველ. (გარდა: გოგიასი, ტატესი და რამდენიმე უმაწვილ კაცისა. მისა ეოემანობს) მივმართოთ, მივმართოთ!..

ილ. ამისათვის საჭიროა ამოვირჩიოთ მეთაურები, რომლებიც მიმართავენ ჩვენს ქალბატონსა, ხოლო იმის საშუალებითა ჩვენს ბატონის მოადგილე დიდს ბატონს.

პეტ. მამა ილია, მამა ილია!

უსინ. იგი უფრო, ვით წინამძღვარი, გამოცდილია.

რამდ. ხმა მამა ილია! ილია!..

პეტ. ვთხოვოთ, გაგვიძღვეს მამა ილია.

ყველ. (გარდა: გოგიასი და ტატესი) ილია, ილია!...

ილ. მე თხოვნა არ მინდა. მოვალე ვარ შევასრულო სოფლის ბრძანება. საჭიროა სამი

კაცი. ორიც დაასახელეთ. მათ შორის ვასახელებ გოგიასა.

რამდ. ხმა კარგია, კარგია!..

ტატე გოგია, გოგია!..

რამდ. ხმა პეტრიაცა, პეტრია!..

გოგ. ხალხნო! მტერს უნდა შაებრძოლო: ან დაამარცხო, ან და დამარცხდე. აი, ჩემი მიმართულება. ამისთვის მე არ ვემორჩილები თქვენს დადგენილებასა. ვისაც სურს ჩემს მხარეს ყოფნა — ჩემსკენ წამოვა. (გადგება კანზე. ტატე და რამდონიმე უმაწვილი კაცი გადავა. მიხა ეოუმანობს) როდესაც თქვენი თხოვნა არ გასჭრის მბრძანებელთანა, ჩვენ მზად ვიქნებით და მაშინ ბრძოლას მივმართოთ.

მართა მათ შორის, ბებია, ბებია!

რამდ. ხმა ბებია, ბებია!..

ბებ. არა, შვილო! ჩემს ცოდვილს შვილებს ვილა მოუვლის. ახლაც სხვას მივანებე. იმ ბატონიანთა ჩემი და მაია არის, თუ გსურთ, ის ჩემს მაგიერობას გასწევს..

რამდ. ხმა კარგია, კარგი!..

ილ. კეთილი. მაია ქალბატონთანაც დაგვაახლოვებს. მაშ ხვალვე გზას გავუდგებით..

გოგ. (თავისთვის) ცალიერი დაბრუნდებით..

ბებ. გზა... (ამ დროს მოისმის დიდი ზარის ხმა, რაც სიტყვას ბერში გაწყვეტინებს. ყველანი შეკრთებიან და გაშტერებული დარჩებიან) მშვიდად...

უსინ. (შემდეგ სამჯერ ჩამორეკვისა) ზარი დიდი ბატონისა...

III

იგინივე, და **მოურავი**

მოურავი (რა შემოვა კედელ-კედელ შუაგულ კედელთან ამაღდებულზე დადგება, ისე თითქო კედელს მიეკრაო. რიხით. ზარის ხმა) დიდი ბატონის ბრძანება: დღეიდან აღეკრძალება სოფელს ტყით სარგებლობა. ამისათვის ამა კედლიდან მას ეკლიანი ღობე ევლება...

ფარდა

ს. გლახაშვილი

ჩემო ჩიტუნავ

სიით მიფრინდი, ჩემო ჩიტუნავ!
ვეღარ მოგკარი სიფრცეში თავალი,
როგორ უეცრად მოსწედი ამ არეს,
გადაიფრინე მთანი უკალი.
ჩემო ბალხაზო! რისთვის მოფრინდი
და რად მაჩვენე შენი მშვენება?
რად შემაყვარე, ცბიერო თავი,
თუ გაქრებოდი, ვით მოჩვენება!
მე კი, უშენოდ ტრემლს ვდვრი მდუღარეს,
გული სევდით მაქვს დაწყლულებული,
დაგრბი ამ ქვეყნად ეოველ კუთხეში
და გეძებ, გეძებ გაცხარებული.
აჭა, სამშობლო შემოვიარე,
ეოველი მხარე, ეველა კუნჭული,
მაგრამ ვერ გნახე, ჩემო ლამაზო,
ისევ გზას გავეე გამწარებული...
იქნებ შეზობლის ბაღში ზეიზეიგებ,
იქ ხტი, იქ ტალქობ გახარებული,
იქ ასმევ ნექტარს სიტკბოებისს,
ვინც არის შესით შეეყარებული?!
არა, არც იქა... ბედმა მიმტეუნა...
ვერც იქ გიხილე ვარდზე მჯდომარე
იქაც მრავალი შენს კვალს ეძებდენ,
ლოეებს ეხოკდენ ჩემებრ მწუხარე.
მე მათმა კვნესამ გამიორკეცა
სურვილი მხოლოდ შენის ნახვისა.
მწარი ნაბიჯით წინ გავექანე,
მივრბი, მივდივარ შორს ზღვის ნაპირსა.
ზღვა ადრ ღელავს!... ტალღებს არ ისვრის,
თითქოს მეკვლრავით დადუმებულა
და მის სიფრცეზე, ვით ჯოჯოხეთი,
შავი წეკდიადი გამეფებულა!
აგერ შავი კლდეც წამოწმიდული,
ამაოდ დასტქერს მდუმარე ზღვასა
„ცა“ ჭექავს, გრგვინავს, კანრასხებული,
გაქრობას უხოდს დედამიწასა.
ვერ შემაშინა „ცის“ მრისხანებამ,
შედგრად მივადექ წალოტს მთისასა,
ვეოსებ აქა ხარ, ჩემო სიტურფეე!
ამ კლდეს უგალობ ტიკვ-ტიკვსა!
მხეცნი, ნადირნი, ამ ქვეყნის ბიდწნი,
ფერხულს მრთავდენ იმ მთის მწვერვალზე,
სისხლით დამთვრალნი დავლურს უვლიდენ,
ტეეეტ ხმაურობდ ამათ ხარხარზე.
ვნახე ჩიტუნაც, მათ ეპერთ ხელში,
შავს კალიაში დატეეეებული,
ის არ გალობდა, არც ზეიზეიობდა, —
მწარედ კვნესოდ დღონებული.
მე-კი, ვით კერძის, სათაეეანებლის,
მის წინ დაგეშვი დონე-მახდილი
და რა, ვერ მიგსწდი მისსა მშვენებას,
ზღვას შეეუერთე ტრემლთ ნაკადული!..

მიმქრალი

დრამის მოკლე ისტორია

3

მესამე დიდებული ტრაგიკოსი ძველი სბერძნეთისა იყო ევრიპიდე. იგი დაიბადა 480 წელს (ქ. შ-მდე). იგი იყო შვილი მნესარხოსისა; შეისწავლა ფილოსოფია და რეტორიკა, დაახლოებული იყო ფილოსოფოს ანაქსაგორესთან და სოფისტ პროტაგორთან და პროდიკოსთან. როგორც პოეტი ევრიპიდე კონკურსზე პირველად 455 წ. გამოვიდა, მაგრამ პირველი გამარჯვება ხვდა წილად მხოლოდ მეორმოცე წელს თავის სიცოცხლისა. ისიც-კი უნდა მოგესწაროთ, რომ, მგონი, სულ ხუთჯერ გაიმარჯვა კონკურსზე თავის სიცოცხლეში. საზოგადო და პოლიტიკურს ცხოვრების განშორებული იყო, თუმცა-კი თავის თხზულებაში ხშირად ეხებოდა თანამედროვე პოლიტიკურს ცხოვრებასაც და მტკიცედ იცავდა თავის სამშობლოს ინტერესებსაც. კარგა დრმა მოხუცებული იყო, როცა იგი მიიწვია თავისთან მაკედონიის მეფემ არქელაოსმა; იქ უბედურება შეემთხვა: როგორც გადმოცემა გვეუბნება, ძაღლებმა დაფლიეს და ამის გამო გადცვალა 406 წელს, ქრ. შ-დე. ევრიპიდეს ბრინჯაოს ქანდაკება დასდგეს ათინელებმა თეატრში ესხილოსის და სოფოკლეს ქანდაკებებთან ერთად.

ევრიპიდეს თხზულებანი ჯერ ისევე ძველადვე იწვევდა სხვა და სხვა ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრს. ზოგი აქებ-ადიდებდა, ზოგი სულ ამცირებდა და დასცინოდა; მაგალითად, კომედიების მწერალი არისტოფანე მუდამ დასცინოდა თავის კომედიებში, როგორც დაბალი ხარისხის მწერალს.—მაგრამ როცა ევრიპიდეზე გვაქვს მსჯელობა, არ უნდა დავიიწყოთ ის გარემოება, რომ იგი იყო შვილი თავისი დროისა. ეს ის დრო იყო ბერძენთა ცხოვრებაში, როდესაც ახალი პროგრესიული მიმართულება ებძოდა ძველს დახვსებულს შეხედულებას—აზროვნებას, ევრიპიდე კი, როგორც შემდეგარი ახალი მიმართულებისა, ხმა მაღლა და დაუფარავად ესარჩლებოდა ახალს, ჭეშმაბდა ძველს; ხელოვნებაშიაც ეძებდა ახალს, უვალს გზას და ძველის გაკვლევა სურდა შეესუსტებინა. იგი სრულებით ეურადღებას არ აქცევდა ესხილოსის და სოფოკლეს მიერ შექმნილ დირსებებს ტრაგედიისს—ოდიალურ სიმღერაზე და ჩვეულებრივ ხამსტეგრო კანონებს, არც ენის სიფაქიზეს იცავდა, როგორც სოფოკლე. ძველთა რწმენასაც-აი ადარ მოექცა დიდის პატივისცემით. მის ტრაგედიებში ბედს (მდაბიურად რომ ვსთქვათ, „წერას“) სულ შემოხვევითი ხასიათი ეძლევა, ე. ი, ბედი სცენაზე გამოდის შემოხვევით, ისიც მაშინ, როდესაც ეს პეტორისთვის არის საჭირო, უცბად, მოულოდნელად. ხორაკი მის დრამებში მხოლოდ უბრალო ფორმალია; არავითარი დამოკიდებულება ადარა აქვს პიესის შინაარსთან.

ამასთან ერთად ევრიპიდეს ძალიან უყვარს ეფექტებით შეზავება თავის დრამებისა, რაც ხშირად ტუდს შობებულებას ახდენს; ხშირად შეხვდებით აგრეთვე გაჭიანურებულს მოსაწყენს მსჯელობას ამა თუ იმ საგანზედ; ამის გამო თვით შინაარსი დრამისა ჭკარგავს მომხიბვლელობასა და სიძლიერეს.

სამაგიეროდ იგი შეუდარებელია და ძლიერი ენებების გამოხატვაში?

მართლაც ერთს მწერალს ევრიპიდემდის არ გამოუსატავს ისეთი შემზარავი სურათები უბედურებისა, გადამტერებელებულებთან ბრძოლისა, სიგიჟისა, როგორც ევრიპიდემ ეს მოახერხა. და თითქოს სულ ახალი უხილავი ქვეყანა გადაუშალა თავის თანამედროვეთ—სულიერი ცხოვრება კაცის გულში დრმად დაფარული.

ეველაზე ძალიან ევრიპიდეს ეხერხებოდა ქალის ხასიათების დასურათება, და უფრო მეტად ამ ხასიათების ტუდი მხარეებისა, რის გამოც მას მაშინვე უწოდეს ქალთმოძულე.

ეევრიპიდეს დიდი დაკვლი მიუძღვის აგრეთვე ამაში, რომ მან დრამისათვის მასალა გაფართოვა; ძველი მითები სულ შესცვალა გავისებურად; მოქმედ პირებად მეფეებს კარგა გამოიყენა უბრალო ხალხი, გლახები და საწყალები.

მანვე შემოიღო პიესის დასაწყისში პროლოგი — (წინასიტყვაობა). სამაგიეროდ დიდინაკლია დრამებისა ის, რომ მოქმედება ბუნებრივად მოქმედ პირთა ხასიათების მიხედვით კი არ თავდება, არამედ რომელიმე ღმერთი ჩაერევა ბოლოს და როგორც მისი ნება იქნება, ისე გადაწყდება ბრძოლის ბედიც, ამას ჭქვიან ,,deus ex machina'', თუმცა ევრიპიდელს ბევრი ნაკლი აქვს, მაინც ერთ უხაჭიერეს პოეტად ითვლება, დამსახურებული ჭქონდა თანამედროვეთა სიყვარული; მაგრამ უფრო მეტი სახელი მოიხვეჭა, შემდეგ თაობებში; მას სთვლიდენ სამაგალითო დრამების უწერლად და დრამატურგებიც ჭბაძავდენ.

მის მიერ დაწერილი დრამები უნდა იყოს 92. დარჩენილია 18 დრამა; მათგან ერთი სატირიულია —„ციკლოპი“ დანარჩენებიდან კი რა საუკეთესონი არიან: **ალცესტა, მედეა, იფიგენია ტავრიდაში, ჰიპოლიტე** და სხვანი.

ნარვილი

სახალხო თეატრის მოღვაწენი

ნ. გოცირიძე

სცენა სცენისათვის

(როგორ ასწავლა გურულმა მეგრელს ღომის დამზადება)

მეგრელი გურულს შეხვდა...

— გამარჯობა, სკანი პატენის გურულო!

— ღმერთმა გაგიმარჯოს მეგრელო!

— სკანი ჭირიმე გურულო, მაასწავლე, როგორ იციან თქვენში, გურიაში, ღომის დამზადება, მოვკდი ამდენი ჭად-ღომაის ჭამით, მაგიერში ჩვენში სამერგელოში რომ მოხვალ, ისეთ ილარჯს და მარწონს გაჭიმევ, რომ შენი მოწონებული...

— რავა მეგრელო, ღომის დამზადება არ იცი?

— ვარი პატენის! ღორონთიმე ვარი! სკანი გული ვაფირო, მასწავლე!..

— აბა მიყურე და ისწავლე:

(ეუბნება სხაპა-სხუპით)

წადი. იარე, იარე, იარე და ადი ზეგანზე, იქინე უშველებელი ტყეა; ეიღე წალდი და კაფე, კაფე, კაფე; რომ გაკაფო იქოურობა, ეიღე თოხი და ფხეკე, ფხეკე, ფხეკე, ისე უნდა იყოს მოტინტილებული ზეგანი, როგორც ჩემი ხელის გული. მერე თოხნე, თოხნე, თოხნე, რომ გათოხნო, ეიღე ღომი და უფცქვიე და უქნიე, უფცქვიე და უქნიე, უფცქვიე და უქნიე, მერე – ფარცხე, ფარცხე, ფარცხე, გავა ერთი თვეი და ამოყუყუნდება მწვანეთ ღომი, წეიყვანე ნადი, გაჰკარი კრიმანჭული და მარგლე, მარგლე, მარგლე; კიდო ერთი თვეი და გეიკეთებს თაველებს; რომ დამწიფთეს, წეიყვანე ქალები: აწიკვიე, აწეკვიე ქალებს, შეკარი ძნები დააყარე ურემზე, წეიღე სახლში და შეყარე ბეღელში; წაწიკვული თაველები უნიავე და უქნიე მზეზე, უნიავე და უქნიე მზეზე, მერე, აშრე, აშრე, აშრე; რომ გააშრო— ჩაყარე საცეხველაში და ცეხვე, ცეხვე, ცეხვე, მერე რამდენიც გეყოფოდეს ინჯრაზე, იმდენი ჩაყარე კაპჭანაში, წეიღე ღარზე და რეცხე, რეცხე, რეცხე, მერე შეკიდე კავზე და შეუნილბილე ნელი ცეცხლი; ცეცხლი არ იცი რა შოუნთო? ხო წადი მერეში, წეიღე ხელურეგბაი, მოხიკე: შეშა-შეშაზე, ფიჩხი-ფიჩხზე, ნაღობარაი-ნაღობარაზე. გაავსე ხელურემაი და წააგორე შინისკენ, დააყარე კერიას, გოუქნიე ფიჩქას და... რავაც გავა პაწაი ხანი, დეიწყებს ღომი: ჩუხ-ჩუხ-ჩუხ-ჩუხს, მეიყენებს ქაფს, ეიღე ლაფერაი; არ იცი რას ქვია ლაფერაი? გამოაძრე ოდას ყავარი: თალე-არგვალე გოუკეთე ტარი, თალე-არგვალე გოუკეთე, ტარი და ქაფე, ქაფე, ქაფე, პაწაი კიდო და ჩაიშრობს ღომი, რომ ჩეიშროს ღომმა, ეიღე ჩოგანი; როვა, არ იცი რას ქვია ჩოგანი? გამოაძრე ღობეს სარი, არგვალე-თალე, არგვალე-თალე, გამოთალე უშველებელი ჯოხი და უჯგუშუნე და უქნიე, უჯგუშუნე და უქნიე, უჯგუშუნე და უქნიე, მერე ზდღლიზე ლაფერაი შით და დაატყეპე სუფრაზე...

— თო! პარტენის გურულო, რამდენი წელაწადი უნდა მაგის დამზადებას?

— წელიწადი კი არა, ერთი ზაფხული, და წასკვდა სიცილი გურულს... **ვ. ურუშაძე**

ეზრაელ ერს

(ნადსონი)

შორს ვიზრდებოდი, შორს შენგან ერო დევნილო,
შენ არ გიმდერდა ჩემი ჩანგი გატაცებული,
ჩემთვის უცხოა წმინდა ადთქმა მამა-პაპათა
და მარვანდედით შემოსილი შენი წარსული.
დღესაც რომ იყო ვითა ძველად მძლავრი ნეტარი,
ესდენ არ იყო ქვეყნისაგან დამტირებული
და არ დვიოდეს სულ სხვა გრძნობა ამ შენსა გულში,
არც ვიქნებოდი სადამისთვის შენთან მოსული,
მაგრამ ჩვენს დროში, როს ტანჯვითა ქედს ჭეარი
მიწამდე
და ამოდ გაქვს შენ იმედი თავის დახსნისა,
როს მხოლოდ სიტყვა „ებრაელი“ ბრბოს ისე ესმის,
ვითა სიმბოლო შეჩვენების და შერისხვისა,
როს მტერნი შენნი, ვითა გროვა ხარბი ძადღვების,
კარს გეხვევიან და გგლეჯავენ სწად-სწადად,
მომეცი ნება მეც შეგივსო მებრძოლთა რაზმი
— ერო წყეულიდო—და ვიწოდო შენს მორჩილ შვილად!

რ. ბებიაშვილი

სომეხთა დრამატურგნი

გაბრიელ ნიკიტას ძე სუნდუკიანი, თითქმის ორმოცდა ათი წელიწადია, რაც სომეხთა მხცოვანი დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი სადრამატურგო ასპარეზზე გამოვიდა და თავისის პიესებით დიდი სამსახური გაუწია, როგორც სომხურ სცენას, აგრეთვე ქართულ სცენასაც. მისი პიესების დედა აზრი საყოველთაოა, საერთო, როგორც მოქალაქე სომეხთა ცხოვრების შესახები, აგრეთვე ქართველთა შესაფერი.

გ. ს. დაიბადა ტფილისში 1825 წ. სწავლა მიიღო გიმნაზიაში, მერე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ სახელმწიფო სამსახური დაიწყო და გენერლის ჩინამდინ მიახწია.

სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1863 წ. ვოდევილით „სადმოს ერთი ცხვირი ხეირია". 1871 წ. პირველად წარმოადგინეს მისი ყველაზე საუკეთესო ჰიესა „ჰეჰო", რომელიც შეიქმნა სომეხთა და ქართველთა სცენის ერთ საყვარელ სარეპერტუარო პიესად, ვითარცა დრამატიული კლასიკური ნაწარმოები.

სუნდუკიანს დაწერილი აქვს აგრეთვე: „ხათაბალა", „დაქცეული ოჯახი", „კიდევ ერთი მსხვერპლი", „შეუღლენი" და „ოსკან ჰეტროვიჩი საქმოს".

„შეუღლენის" გარდა დანარჩენი პიესები დაწერილია თბილისის კილოზე. მშვენივრად და ცოცხლად დასურათებული აქვს თბილისის ცხოვრება, მისი ვარამი და ლხინი, კარგი და ავი, ღირსება და ნაკლი. ყოველ მის პიესაში ძველი თაობა, ვაჭარი და კინტო, დიასახლისი და მოსამსახურე, პატიოსანი და უპატიოსნო, ფოტოგრაფიულ სისწორით არის გადაღებული.

1901 წ. სომეხმა საზოგადოებამ, მასთან ერთად ქართულმა და რუსულმა სცენებმაც დიდის ამბით იდღესასწაულეს „ჰეჰოს" ოცდათი წლის თავი, და მის ავტორს — სუნდუკიანს დიდის ზეიმით სცეს პატივი.

სუნდუკიანის ყველა პიესა გადათარგმნილია ქართულ ენაზე და ქართველ საზოგადოებასაც სომხებზე არა ნაკლებ უყვარს. რუსულად გადათარგმნილია „ჰეჰო" და „მეუღლენი". „ჰეჰო" გადათარგმნილია ზოგიერთ ევროპიულ ენაზედაც.

მხცოვანმა დრამატურგმა სიბერის დროსაც-კი არ დასტოვა თავის ნაყოფიერი კალამი და დასწერა ორი პიესა „ანანოს ბოხჩა" და „სიყვარული და თავისუფლება". ორივე პიესაც გადათარგმნლია ქართულად.

ᲣᲚ. ᲙᲐ.

ჩვენი დრამატურგნი

ტრიფონ რამიშვილი, ახალგაზდა დრამატურგი, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1902 წ. მოთხრობებით „ოტოდა"-ით და „მიტრო ჭედილაშვილი"თ, რომელიც ქართულმა კრიტიკამ ძლიერ მოიწონა.

1904 წ. დასწერა პიესა „მეზობლები", 4 მოქ.; 1906 წ. „ექიმი აშირბაჯიანი", 2 მოქ. 1907 წ. „შეშლილნი", 2 მოქ., 1909 წ. „სპედისწერო დამბაჩა", დრამა 3 მოქ., და ვოდევილი „კრიტიკოსსთან".

ზემოხსენებულ პიესათაგან ქართ. დრამატ. დასმა რამოდენიმეჯერ წარმოადგინა „მეზობლები" და „სპედისწერო დამბაჩა".

ორივე პიესა საზოგადოებას მოეწონა და პრესამ აღნიშნა მწერლის სადრამატურგო ნიჭი.ეს პიესები წარმოდგენილ იქმნა არა ერთგზის დაბა-სოფლებშიაც.

ტრ. რამიშვილის პიესებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენს დრამატიულს ლიტერატურაში თავისის ორიგინალობით; თითქმის პირველმა მან აღნიშნა და გამოიყვანა სცენაზე თანამედროვე მებატონე თვისის გარდამავალის მდგომარეობით, კარგისა და საგმობის მხრით; განსაკუთრებითი ყურადღებას იქცევს მისი პიესა „სპედისწერო დამბაჩა", სიმბოლიური ნაწარმოები, რომელშიაც დიდის ცოდნით და დაკვირვებით არის აღნიშნული მობერებული წოდების გარდაშენების მდინარეობა. მესამე პიესა, „ექიმი აშირბაჯიანი", ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს გაბატონებულ— დამყაყებულ რეჟიმთან ბრძოლას და მეორეს მხრით მიგვითითებს საკაცობრიო იდეალზე. აგრეთვე საყურადღებოა ვოდ. „კრიტიკოსსთან", რომელშიაც დასურათებულია ჩვენებურ ყოყლოჩინა ავტორთა ავადმყოფი თავმოყვარეობა.

საზოგადოდ, ტრ. რამიშვილის პიესები

ერთის მხრით რომ აღნიშნავენ ჩვენის ცხოვრების დუხჭირს, გათახსირებულს, გაფლიდებულ მდგომარეობას, მეორეს მხრით მომავალისკენ მივვითითებენ. ტრ. რამიშვილს გულის სიღრმემდე სძაგს თანამედროვე უკუღმართი და გათახსირებული საზოგადოებრივი წყობილება, მაგრამ ამავე დროს გულის სიწმინდით, მზის პირველ სხივივით სპეტაკს, სწამს უკეთესი მერმისი, შესტრფის ამ მომავალს და დარწმუნებულია, რომ დადგება იგი ნეტარი ხანა. დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე „შეშლილნი", სრულიად ახალის ჰანგით დაწერილი, ადამიანთა უბედურ მდგომარეობისადმი საკაცობრიო გრძნობით გამსჭვალული...

ტრ. რამიშვილი ჯერ ახალგაზდაა, 35 წლისა და, თუმცა მთელს დროს კერძო სამსახურს ანდომებს, მაინც ახერხებს სამწერლო ასპარეზზე მუშაობას და, იმედია, კიდევ ბევრს ძვირფას ნაწარმოებს შესძღვნის ჩვენს ღარიბს ღრამატ. ლიტერატურას. როგორც შევიტყვეთ, ამ ჟამად სწერს ახალს პიესას მომავალ სეზონისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი პიესა „ექიმი ამირბაჯიანი" უკვე სომხურად გადათარგმნეს.

ჩვენი მსახიობნი

კონსტანტინე სვ. მესხი. წელს შესრულდა ოცდაათი წელიწადი, რაც ჩვენი დამსახურებული მსახიობი კ. ს. მესხი სამშობლოს სცენას ემსახურება.

კ. მესხი დაიბადა 1858 წელს სვიმონ მესხის ოჯახში. ეს ოჯახი ქუთაისში ითვლებოდა განათლებულ ოჯახად, რადგან უფროსი შვილი გიორგი უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ გიმნაზიის მასწავლებლად იყო, მეორე—სერგეი ახლად დაარსებულ გაზეთს „დროებას" რედაქტორობდა. დანარჩენნი-კი ყველანი სწავლობდენ გიმნაზიებში. კ. მესხი 11 წლისა გადმოვიდა თბილისში რეალურ სასწავლებელში. თეატრის სიყვარული განუცხოველდა იმ საზოგადოებაში, რომელიც ყოველივე კულტურულ საქმეს მისდევდა. ეს საზოგადოება შესდგებოდა ი. ჭავჭავაძისა, ნ. ნიკოლაძისა, აკაკი და გიორგი წერეთლებისა, სერგეი მესხისაგან და სხვ.

ამავე პირებმა, რაკი დაინახეს, რომ კ. მესხს სასცენო ნიჭი აქვს, ურჩიეს ქართულ დასში შესვლა და კ. მესხიც დასის დაარსების შემდეგ, 1879—80 წლიდან ქართულ თეატრს ემსახურება.

კ. მესხმა თამაშისა და რეჟისორობის გარდა, დიდი სამსახური გაუწია ქართულს თეატრს თარგმანებით და პიესების გადმოკეთებით.

ოცდა ათზე მეტი პიესა—კომედიები და დრამები,—შევმატა ქართულ თეატრს კ. მესხის შრომით.

კ. მესხმა, როგორც არტისტმა, განსაკუთრებითი ალაგი დაიპირა ჩვენს სცენაზე. ის თამაშობდა და თამაშობს ყოველნაირ როლს—დრამატიულსაც და კომიკურსაც, მაგრამ ყველაზე უფრო ეხერხება დარდიმანდებისა და სხარტული როლების თამაში.

სახალხო თეატრის მოღვაწენი

ნიკო გოცირიძე, სახალხო თეატრის ერთი საუკეთესო სცენის მოყვარე — მსახიობი, 15 წელიწადია სახალხო თეატრის სცენაზე დაუღალავად მუშაობს; ხშირად მონაწილეობდა და მონაწილეობს დრამ. საზ. დასში და საქართველოს დაბა-ქალაქთა სცენებზედაც. ბუნებით ნიჭიერ ნ. გ—ს რა როლიც უკისრია — დაკვირვებით და ხელოვნურად შეუსრულებია. მისს თამაშს მუდამ აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელნი. ნ. გ. ასრულებს უმთავრესად კომიკურ, სახასიათო როლებს. მღერის ხოლმე აგრეთვე კუპლეტებსაც. ამ ჟამად იგი 35 წლისა იქნება, და კვლავ ხალისიანად და უანგაროდ მუშაობს ზუბალაშვილთა სახელობის სახალხო სახლის სცენაზე,

ნ. გ. ხელოსანია, მუშაობს თბილისის რკინის გზის დეპოში და სამსახურის შემდეგ მთელი თავისუფალი დრო შეწირული აქვს სახალხო სცენისათვის.

ჩვენი მსახიობი

(მოთხრობა)

წარმოდგენის შემდეგ

II

დარო,—ასე ერქო ჩვენს მსახიობსა,—ქალია სოფლის მოძღვარ თედოსი.

თედორე დიდად პატივცემული და საყვარელი მოძღვარი იყო თავის სამრევლოში; ცხოვრობდა თავის ფოფოდია ბარბარეთი ეკლესიის ეზოშია. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მიეცა ქალი, რომელსაც უწოდა დაბადების დღის სახელი დარია და ზრდიდა ნაინატრადა.

პატარაობითვე დარო მამას არა შორდებოდა და რა მოიზარდა, ეკლესიაშიაც-კი მასთან იმყოფებოდა; ხოლო ეს არის, რომ მას, როგორც ქალსა, ტრაპეზში არ უშვებდა, რაც მას ბრაზსა გვრიდა, მაგრამ დედის დარიგებას მაინც არ ეწინააღმდეგებოდა და გარედან შინ მამის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა.

დარომ ისე კარგა შეისწავლა წირვა-ლოცვა, რომ ზეპირად იცოდა რამდენიმე დღესასწაულის წესი. ხშირად თავის ტოლ-ამხანაგ სოფლის გოგოებთანა თამაშობის დროს წამოისხავდა თავის დედის შალს სამოსელივითა და მთელს წირვას გამოიყვანდა.

მოიზარდა და მამამ მისცა იგი საეპარქიო სასწავლებელში, რომელიც საუკეთესოდ დაამთავრა ტ მამამ სიხარულით დააბრუნა სოფელში.

ამის შემდეგ დაროსათვის მამა ზრუნავდა, რომ მისთვის კარგი საქრმო ეშოვნა. უშოვნა კიდეც თავის ნაამხანაგარის შვილი სამღვდელო, რომელსაც თავის სამრევლოში ათავსებდა, მაგრამ დარო მას არ გაჰყვა.

დაროს თავის მამისავე დიაკვნის შვილი, სემინარიიდან გამოგდებული, გიორგი უყვარდა, რომელზედაც პატარობისას თამაშობაში არა ერთხელ ჯვარს იწერდა.

თედორე და ბარბარე ქალის სურვლს ველარ აღუდგნენ და დიაკვნის შვილ—გიორგის სიძობაზე დაჰყაბულდენ.

თედორემ ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, სადაც ჯერ-არს, როგორც იყო, მოახერხა და სიძე მთავრად მოამზადა. ის იყო, რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა ეკურთხებინა თავისი სიძე, რომ თედორეს ოჯახს უბედურება დაატყდა...

ამ სოფელში, სადაც სცხოვრობდენ, ბოქაულმა გლეხსა სცემა, რასაც შეესწრო გიორგი, რომელმაც ვერ მოითმინა, წაექომაგა და შემდეგ ისე გამწვავდა, რომ იგივე მათხარი, სამთავროდ გამზადებულმა გიორგიმ, ბოქაულს უბრუნა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დაროს, ახალ ჯვარდაწერილი ქმარი, გიორგი, წყალკურთხევის წინა დღეს ციმბირისაკენ გაგზავნეს და მამა თედორე-კი მეორე დღეს ამა ეკლესიაში დასაფლავეს.

მას შემდეგ, ორი წელიწადია, რაც დედა და შვილი ჩამოვიდნენ ქალაქში და დარო მამიდაშვილის რჩევით მსახიობად შევიდა თეატრში.

აგერ, ახლაც დარო საბან-წაფარებული თვალ წინ ირდგენს ყოველს წარსულს და მომავალს-კი არ ახება, ვერ ბედავს, რაიმე გაითვალისწინოს.—„აი, ეხლაც მე მემდურება დედაჩემი“,— ფიქრობდა დარო, „მემდურება, და ვერც მეუბნება: რატომ არ გავთხოვდი იმაზე, რომელიც მე არ მიყვარდა; რატომ არ დავრჩი მასწავლებლადა, რატომ შეველ სცენაზე-და“...

მართლაც დაროს დედა ბარბარე, შემდეგ იმისა რაც მან თვალი გაადევნა სახლის პატრონსა ფიქრით: „განა ჩვენთვის-კი ხვალ არ არის ახალწელიწადი?!“—მოაგონდა თავისი წარსული და ჩვეულებისამებრ დაუწყო ყვედრება თავის ქალს დაროსა; ხოლო ამას გულში იმარხავდა, დედობრივის სიყვარულით ლოცავდა და შემდეგ ნუგეშ-ცემით იმედს აძლევდა: — „რა ვუყოთ, შვილო! ღმერთი მოწყალეა“...

— მსახიობი დარო თედორეს ასული ბედკრულაშვილი აქა სდგას?

დაარღვია დედაშვილის სიჩუმე უცნობმა ხმამ და კარი შემოაღო.

— უწყებაა სასამართლოს ბოქაულისა,—განაგრძო იმანვე, რა შემოვიდა ოთახში, — თუ ერთ კვირაში არ ჩააბარებთ ორ თუმანსა, აღმასრულებელ ფურცლის ძალით ორ აგიწერთ ყოველს ავეჯსა მედუქნე დათებოვის სასარგებლოდ.

ს. გლახაშვილი

ჟურნ. „**თეატრი და ცხოვრება**“

ერთის წლით დამატებიანად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში ი. იმედაშვილთან, დილით 10—2 საათამდე. საღამოს 5—8 ს.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм. О-ва. Іос. Зах. Имедашвили.

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.